პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქმე

№ 167 (5197)

1974 წ. 24 აგვისტო, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ხურათზე: საქართველოს 1974 წლის თასის მფლობელი — რუსთავის „მეტალურგი" (მეორე რიგში, მარჯვნივ — გუნდის მწვრთნელი ფ. ჭელიძე).

მ. ზარგარიანის ფოტო.

(ფეჯიბრეგების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

1974 წლის II სასოფლო სპორტული თამაშების ფინალური ასპარეზობის მონაწილეები

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი გულწრფელად გილოცავენ თქვენ, სოფლის ფიზკულტურელთა 10-მილიონიანზე დიდი არმიის წარგზავნილებს, დიდ სპორტულ დღესასწაულს — 1974 წლის საკავშირო სასოფლო სპორტული თამაშების ფინალური ასპარეზობის გახსნას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო, ახორციელებენ რა სკკპ XXIV ყრილობის მიერ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების მიზნით დასახულ ამოცანებს, გამუდმებით ზრუნავენ სოფლის მშრომელთა სულიერი ამაღლებისა და ფიზიკური სრულყოფისთვის.

სოფლად ფიზკულტურული მოძრაობა კომუნისტური აღზრდის, შრომისნაყოფიერების ამაღლებისა და ახალგაზრდობის კულტურული დასვენების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა.

ამ დღეებში მილიონობით სოფლის ფიზკულტურელი თავგანწირვით შრომობს მოსავლის აღებისთვის, იბრძვის ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების გაზრდისთვის აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭო, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ სოფლის ფიზკულტურელები და სპორტსმენები კვლავაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებას და გაამრავლებენ საბჭოთა სპორტის დიდებას.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ბედნიერ სტარტებს, მაღალ სპორტულ მიღწევებს, დიდ წარმატებებს შრომასა და სწავლაში ჩვენი დიდი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭო

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ახალგაზრდობის საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი

პირველი სტარტები

სარატოვი, 21 აგვისტო. დიდი სპორტული დღესასწაულია ვოლგისპირა ქალაქში: აქ საზეიმოდ გაიხსნა II სასოფლო სპორტული თამაშების ფინალური ასპარეზობა. სარატოვში სარბიელზე გამოდიან სპორტის რვა საეროაის წარმომადგენლები. შეჯიბრებებში ჩაებმება 2000 ფინალისტი, რომლებმაც ეს უფლება ოლიმპიადებში, ოლქებში, რესპუბლიკებში ჩატარებულ ასპარეზობებში მოიპოვეს.

სარატოვში პირველად ტარდება ასეთი მასობრივი შეჯიბრება და ქალაქი დირსეულად მოემზადა ძის შესახვედრად. საუცხოოდაა მოშზადებული სტადიონები, სპორტის სასახლეები, დარბაზები, მოედნები. ფინალისტებს შეფობენ სარატოველი კომკავშირელები. შეჯიბრებებს შორის სპორტსძეული ეეზვდებიან ქალაქის ახალგაზრდობას, მონაწილეობას მიიღებენ დასვეხების საღამოებში, ექსკურსიებში.

დღეს ასპარეზობის მონაწილეებმა თავიანთი რესპუბლიკებისა და სპორტსაზოგადოებების დროშებით შეეთიარეს სარატოვის ქუჩები. მათ ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი რევოლუციის მოედანზე.

„ლოკომოტივის" სტადიონზე ფიხალისტებს, რუსული წესის თანახმად, პურ-ეაბილი მიაართვეს. სპორტსმენებს სიტყვებით მიმართეს თაძაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის ძოადგილემ ი. კუზნეცოვმა, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. კორეტკოვმა, ოლქისა და ქალაქის საზოგადოებრივი და სპორტული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

II სასოფლო თამაშების ფინალური ასპარეზობის მონაწილეებმა მიიღეს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ალკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მისალმება.

დღეს სტარტი აიღეს მძლეოსნებმა, ფრენბურთელებმა, ძალოსნებმა და მოჭიდაკეებმა. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ამ შეჯიბრებაში „სპორტის დედოფალს" ჰყავს. სარატოვში გამარჯვებისთვის იბრძვის 375 უძლიერესი მძლეოსანი, სულ კი რესპუბლიკებში ამ სახეობას 1329 ათასი სოფლის ფიზკულტურელი მისდევს. მათ შორის არის 1700 სპორტის ოსტატი, არიან ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები, ქვეყნის ჩემპიონები. პირველ თამაშებში ყველას აჯობეს უკრაინის „კოლოსის" წარმომადგენლებმა. ახლა ვინ ბაიმარჯვებს?

ხელბურთელთა შეჯიბრებაში, რომელიც ჯერ კიდევ 15 აგვისტოს დაიწყო, გამოვლინდნენ ფინალისტები. სენსაცია შემოგვთავაზეს ესტონეთის ხელბურთელებმა. მათი გუნდი თითქმის სანახევროდ დაკომპლექტებულია კიროვის სახელობის კოლმეურნეობის მეთეფეებით. და აი, ესტონელებმა დაამარცხეს აზერბაიჯანის წარმომადგენლები, სასოფლო სპორტსაზოგადოებათა შორისდელი საკავშირო პირველობის ჩემპიონები.

(საქდესი).

„ვეიმ სტადიონის" სწრაფი ბილიკები

ვენა, 22 აგვისტო. საოცრად სწრაფი გამოდგა ავსტრიის დედაქალაქის „ვეიმ სტადიონის" საწყლოსნო აუზის საცურაო ბილიკები. წინასწარი გაცურვა იქნება ეს, თუ ფინალური შეჯიბრება, აუცილებლად ახალი ეროვნული, ევროპისა თუ მსოფლიო რეკორდი უნდა დაბადოს. ამიტომ არის, რომ ამ სპორტული სარბიელის ტრიბუნები მუდამ სავსეა ცურვის მოყვარულებით.

5. პანკინის შემდეგ საბჭოთა გუნდს ოქროს მედალი მოუტანეა ა. სანსონოვმა, რომელმაც თავისუფალი სტილით 400 მეტრის გაცურვას 4.02,11 მოანდომა. განსაკუთრებით კარგად გამოდიან გდრ-ის წარმომადგენლები, რომლებიც ხშირად იმარჯვებენ, დისტანციის ფანტასტიკურ დროში ამთავრებენ და ახალ მსოფლიო რეკორდებს ამყარებენ. კ. ენდერისა და კ. კლინკეს (ორივე — გდრ) ბრწყინვალე გამოსვლების შემდეგ გამარჯვება იზეიმეს მათმა თანაგუნდელებმა, 18 წლის რ. კოტერშა და 16 წლის უ. ტაუბერმა. პირველმა ბატერფლაის სტილით 100 მეტრის გაცურვას 1.02,09 მოანდომა, ხოლო მეორემ 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში 4.52,42 აჩვენა. ორივე შედეგი ახალი მსოფლიო რეკორდია.

4×200 მეტრზე ესტაფეტაში პირველი იყო გფრ-ის გუნდი — 7.39.70 (ევროპის რეკორდი). სსრ კავშირის ნაკრების წევრებს ვერცხლის მედლები ხვდათ — 7.42.06 (საკავშირო რეკორდი).

ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში, რომელიც „შტადტჰალეს" აუზში ჩატარდა, გაიმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვედმა უ. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ საბჭოთა სპორტსმენებს ი. კალინინასა და ე. ვოიცეხოვსკაიას.

ჰოლანდიის ნაკრებთან მატჩის ფრედ (6:6) დამთავრების შემდეგ საბჭოთა წყალბურთელები დასავლეთგერმანელ სპორტსმენებს შეხვდნენ. საბჭოთა ნაკრებმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ წინა დღეს მისმა მეტოქემ იტალიის ძლიერ გუნდს სძლია. ამიტომ საბჭოთა სპორტსმენებმა შეხვედრა დიდი მონდომებით დაიწყეს და პირველი ორი პერიოდი მშრალი ანგარიშით მოიგეს — 3:0. ეს ანგარიში ბოლო 5 წუთამდე უცვლელი იყო და აქ მეტოქეებმა შეძლეს 2-2 ბურთის ზუსტად ტყორცნა — 5:2.

კვლავ ბრწყინვალედ გამოვიდნენ გდრ-ის მოცურავე ქალები. ბრასის სტილით 100 მეტრზე წინასწარი შეჯიბრებების დროს რ. ფოგელმა დისტანციის გავლას 1.12,91 მოანდოდა და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. ასევე მსოფლიო რეკორდს გადაეჯარბეს უ. რიხტერმა — 100 მეტრზე კულადმა შეჯიბრებაში (1.04,09) და რ. კოტერმა — ბატერფლაის სტილით 100 მეტრზე ცურვაში — 1.01,99. კ. ენდერმა უკვე მეორედ მოიხვეჭა მსოფლიო რეკორდსმენის ტიტული, რადგან თავისუფალი სტილით 200-მეტრიან დისტანციაზე შეჯიბრებაში 2.03,22 აჩვენა.

ეკრანი სპორტზე

ახალი სტადიონი

თელავის რაიონის სოფელ აკურის სპორტის მოყვარულებმა კოლმეურნეობის აქტივის დახმარებით ააშენეს და საექსპლოატაციოდ გადასცეს ეთილმოწყობილი სტადიონი.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა ფეხბურთში. ადგილობრივმა გუნდმა „კოლმეურნემ" მიიღო სოფელ ვანთის „ვეფხი". შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 3:2.

ბ. ნეგუნიშვილი.

აკურა,
თელავის რაიონი.

საერთაშორისო სპორტიდან

ზესტაფონი

ორგანიზებულად მიმდინარეობს ზესტაფონის რაიონული სპარტაკიადა სპორტის 10 სახეობაში. შეჯიბრება სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროგრამით - ტარდება. სარბიელზე გამოდიან „კოლმეურნის", „ბახთიადის", „სპარტაკის" უძლიერესი გუნდები. ფრენბურთელ ვაჟთა შორის გაიმარჯვა ფეროშენადნობის ქარხნის გუნდმა, ხოლო ქალთა შორის — სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა. ფეროშენადნობის ქარხნის წარმომადგენლები პირველები იყვნენ მძლეოსნობაშიც. კალათბურთელ ვაჟთა შორის ტოლი არ ჰყავდა „ბახთიადის" ნაკრებს, ქალთა შორის კი ყველას აჯობეს შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის წარმომადგენლებმა.

ა. ბანუშვრავა.

გამარჯვებულებიც, მარცხიც

კავანა, 22 აგვისტო. მოკრივეთა მსოფლიო ჩემპიონატში წარმატებით იასპარეზა პირველი უმჩატესი წონის საბჭოთა სპორტსმენმა ვ. იუდინმა. მისმა მეტოქემ, ნიგერიელმა დ. ანდუხმა მხოლოდ 40 წამს გაძლო რინგზე. იუდინმა ორთაბრძოლა ნოკაუტით მოიგო. მეორე საბჭოთა ზოკრივემ, ერევანელმა ს. კაზარიანმა პირველსავე რაუნდში აიძულა სიერა ლეონეს წარმომადგენელი რ. მბუა ფარ-ხმალი დაეყარა. იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ასტრახანელმა ბ. კუზნეცოვმაც, რომელმაც ქუალებით მოუგო ევროპის ჩემპიონს შ. ფორსტერს (გდრ). ა. ალიმანოვმა (სსრ კავშირი) ასევე ქულებით სძლია პერუს წარმომადგენელს ლ. ლამადრიდს. მძიმე წონის საბჭოთა მოკრივე ე. გორსტკოვისთვის პირველივე გამოსვლა უიღბლო გამოდგა. მისი მეტოქე, 30 წლის იუგოსლავიელი სპორტსმენი რ. მილიჩი უფრო აქტიურად იბრძოდა და გამარჯვებაც მას ხვდა წილად.

კვლავ ჩინებულად იბრძოლეს „ეუ ბელმა მოკრივეებმა. მართალია, მათი გუნდის წევრმა, მიუნქენის ოლიმპიადის ვერცხლის მედლის მფლობელმა ე. რეგეიფერსმა ნოკაუტით წააგო დომინიკანელ მ. რამოსთან, მაგრამ მისმა თანაგუნდელებმა იყოჩაღეს და 3-ბრძოლა მოიგეს. მ. ალვარესმა დაამარცხა ეახანელი ა. რუბიო, რ. გარბე�მ — ჰ. ტიპოლდი (გდრ). მძიმე წონაში ოლიმპიური ჩემპიონის თ. სტიკენსონის მეტოქე ტ. მელა (ზაირი) საბრძოლველად არ გამოცხადდა და კუბელ მოკრივეს გამარჯვება ჩაუთვალა.

კრივი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის ილია ვეკუას გაცნობაში და მასთან სპორტის შესახებ საუბარში, სრულიად მოულოდნელად დამეხმარა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილი. არა, მე არ მიმიმართავს მისთვის (ნონა ამ დროს საზღვარგარეთ იყო), თბილისში ვიყავი და შემთხვევით გავიგე, რომ ყოველთვის, როცა ნონა გაფრინდაშვილი წარმატებით ამთავრებდა მატჩს მსოფლიო პირველობაზე, იგი მისასალმებელ ადრესს ღებულობდა აკადემიკოს ვეკუასგან. მე მეცნაერს დავურეკე, გავახსენე ეს ამბავი და მან, თუმცა ძალიან დაკავებული იყო, მიმიღო.

გვესაუბრება აკადემიკოსი ილია ვეკუა

● ბევრი მ მიზნით სპორტულ ტელეგადაცემებს უყურებს. ახლა თბილისი მილიონობით არიან. და ისინი ალბათ თავს სპორტის მოყვარულებად მიიჩნევენ...

— ეს პასიური სპორტის სიყვარულია. აბა რა ყრია ცისფერი ეკრანის წინ უძრავად ჯდომაში? ეს მხოლოდ მაშინ არის მისაღები, როცა ადამიანი ერთ-ორ საათს აქტიურ სპორტულ გარჯიმსაც უთმობს — დარბის, ცურავს, ეუფლება სხვადასხვა სპორტულ თამაშს. ხშირად გაიგონებთ, რომ ადამიანს უნდა სპორტში მეცადინეობა, მაგრამ საკარჯიშო ადგილი ვერ უპოვია. მაგალითად, თბილისში აშენდა საბურთალოს ახალი მასივი. ამ მასივში ათი ათასობით ადამიანი ცხოვრობს, სპორტული მოედანი კი ძალიან ცოტაა. სამწუხაროდ, ასეთივე მდგომარეობაა სოფლებშიც. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მე ვმუშაობდი სკოლების კეთილმოწყობის ზოგიერთი საკითხის გადაჭრისთვის. თვალში საცემი იყო, რომ ქალაქისა და სოფლის ბევრ სკოლაში არ არსებობს სპორტში მეცადინეობისთვის აუცილებელი პირობები. ბავშვებს არა აქვთ სათამაშო, სარბენი ადგილი — სკოლების ირგვლივ მიწის ნაკვეთები ძალიან პატარაა. ჩემი აზრით, საცხოვრებელ ადგილებში სპორტული მოედნების მშენებლობა აქტუალურ პრობლემად იქცა და იგი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაიჭრას.

ზოგჯერ ხდება, რომ მშენებლები საქმესლოგანად ამბობენ სპორტულ მოედანს, მაგრამ იგი ძალიან მალე კარგავს „სპორტულ ფორმას“: სათანადოდ ვერ უვლიან. მე ისიც მაშფოთებს, რომ სულ უფრო მცირდება ჩვეულებრივი მინდვრების რიცხვი, სადაც ბავშვებს უბრალოდ ბურთის თამაში შეეძლებათ.

მაგონდება ჩემი ახალგაზრდობა. ჩემს მშობლიურ სოფელ შეშელეთში (გალის რაიონშია) ბავშვებიცა და უფროსებიც დიდი გატაცებით თამაშობდნენ ლელოს, ერომანეთს ეჯიბრებოდნენ რბენის სისწრაფესა და მოქნილობაში. რომ იცოდეთ, რა საინტერესო, რა მიმზიდველი თამაშია! სპორტული ელემენტი საუცხოოდ ერწყმის მის რომანტიკულ ხასიათს. მაგალითად, ზოგჯერ ერთ გუნდში თამაშობდნენ ცოლიანები, მეორეში — უცოლოები. თამაშის მონაწილენი სალაღობოდ ბევრი სხვა პრინციპითაც იყოფოდნენ ხოლმე ჯგუფებად. თამაში ბევრს შეეძლო, ხოლო ასპარეზობის სანახავად მთელი სოფელი იყრიდა თავს (მინდა ერთი მოგონება დავწერო ლელოზე). ამას წინათ ვიყავი შეშელეთში. თანასოფლელებს ვკითხე, ლელოს თამაშობთ-მეთქი? სად ვითამაშოთ, ადგილი არა გვაქვსო, მიპასუხეს. სულ უფრო იშვიათად თამაშობენ საქართველოს სოფლებში ლელოს. არადა, ამ პოპულარულმა ეროვნულმა სახეობამ ბევრი სპორტსმენი მისცა ჩვენს რესპუბლიკას. სულ უფრო იშვიათად ვხედავ კარგ ცხენოსნებს ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდობაში მეც გატაცებული ვიყავი ცხენოსნობით, როგორც ბევრი სხვა. მე ვფიქრობ, ხანდახან ბევრი ქალაქელიც სიამოვნებით იჯირითებდა, ცხენების ქირაობა რომ შეიძლებოდეს (სპორტულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ ეს ფორმა ცხენოსნობის მასობრივად განვითარებისთვის). თბილისში არც ცურვის მოყვარულები არიან უკეთეს მდგომარეობაში (ახალგაზრდობაში ამ სახეობითაც ვიყავი გატაცებული) — საქართველოს დედაქალაქში ძალიან ცოტა საცურაო აუზია.

მე სპორტში მასობრივობის მომხრე ვარ. მინდა, რომ სპორტი ყველასთვის მისაწვდომი იყოს. მაგრამ ამ მიზნით ჩვენში ყველაფერი არ კეთდება.

კარგია, რომ ფართოდ ვითარდება სპორტის ეგრეთ წოდებული ორგანიზებული ფორმა, ესე იგი მეცადინეობა სპორტულ სექციებსა და სკოლებში. მაგრამ ყოველმხრივ უნდა შეეშუკოთ ხელი ეგრეთ წოდებულ არაორგანიზებულ სპორტსაც — ჯანმრთელობის, მხნეობის, სიხარულის მომტან სპორტს, თუ შეიძლება ითქვას, სპორტს საკუთარი თავისთვის. გაასაკუთრებით მოსხრე ვარ ეროვნულ სახეობათა განვითარებისა, სხვადასხვა სახის ქვეითი ლაშქრობებისა, ორიგინალური სპორტული შეჯიბრებებისა. მე მიამბეს, რა მრავალფეროვანი დევიზებით ტარდება სპორტული ღონისძიებები ტალინში. სპორტის მოყვარულებისთვის მიმზიდველია საერთაშორისო შეჯიბრებები „ტალინის მახვილის“ პრიზზე ფარიკაობაში, „გრძელი გერმანი“ — ფრენბურთში და სხვა. ცხოვრება წინ მიდის. ადამიანებს ახალ-ახალ მოთხოვნილებებიც მომყავდა. თუნდაც ალექსანდრე მეტრეველი ავიღოთ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი. მას ხშირად უადგება საზღვარგარეთ მოგზაურობა, მაგრამ საუცხოოდ სწავლობდა, უნივერსიტეტი დაამთავრა, ასპირანტურაში ჩაირიცხა. ან ნანა ალექსაძდრია გავიხსენოთ. შესანიშნავი მოჭადრაკეა. ტურნირებსა და მატჩებში წარმატებით თამაშობდა და სწავლაშიც არავის დაუდგა ტოლს.

თავის დროზე მე მივიღე თბილისის უნივერსიტეტში ნანას მამა. მერე ქალიშვილი გაიზარდა და სტუდენტურ სამყაროში მანაც ჩემი უშუალო მონაწილეობით შედგა ფეხი.

შემდეგ ჩვენ ისევ ჭადრაკს დავუბრუნდით. ვილაპარაკეთ ბევრ საინტერესო ტურნირზე. ცნობილმა მეცნიერმა თქვა, რომ ზოგჯერ დიდოსტატებისა და ოსტატების მონაწილეობით გამართული შეჯიბრებები „უფერულია“, გულშემატკივრები მათს მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენენ. „ცხოვრება წინ მიდის და საჭიროა ახალი გზების ძიება“, — შენიშნა ილია ვეკუამ.

შეუმჩნევლად მივადექით „ფიშერის პრობლემას“.

— ფიშერი, რა თქმა უნდა, ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკეა, — თქვა აკადემიკოსმა. — სპორტი სპორტია — შეიძლება მოიგო, შეიძლება წააგო. მე უცნაურს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული მოჭადრაკე მსოფლიოს ყველა კუთხეში შეიძლება დაიბადოს. სხვა საქმეა ის პრობლემა, რასაც საჭადრაკო სამყაროს წინაშე აყენებს გვირგვინის მფლობელი. ფიშერმა საგონებელში ჩააგდო ჭადრაკის გულშემატკივრები თავისი ქცევით: ითამაშებს თუ არ ითამაშებს? მალე უძლიერესი საბჭოთა დიდოსტატი ხელთათმანს გადაუგდებს მსოფლიო ჩემპიონს. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ იგი არა მარტო ბრძოლაში გამოიწვევს ამერიკელ დიდოსტატს, არამედ ჩამოართმევს კიდეც გვირგვინს.

● სამაგიეროდ, ქალთა სამეფოს გვირგვინი საიმედო ხელშია. თქვენს რესპუბლიკაში ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას კვალზე მიდის ნიჭიერ მოჭადრაკეთა მთელი თაობა. თქვენი აზრით, რა განაპირობებს საქართველოში „ქალთა ჭადრაკის“ ესოდენ საოცარ წარმატებებს?

— ამაზე მეც ხშირად ვფიქრობ. ჩემი აზრით, ამ წარმატებათა საფუძველია ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი ადამიანური თვისებები — დიდი შრომისმოყვარეობა, უაღრესად განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა, თავისი საქმის ღრმა რწმენა, საქმისთვის მთელი ძალის შეწირვის უნარი... ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია. ქართველმა ქალებმა თავი გამოიჩინეს არა მარტო ჭადრაკში, არამედ შემოქმედების სხვა სახეებშიც, მუსიკალურ საშემსრულებლო სფეროში, მაგალითად, ამისთვის საჭიროა დიდი, ყოველდღიური შრომა. ახა სცადეთ და კაცი დასვით დღეში რამდენიმე საათს ჭადრაკის სახელმძღვანელოებთან. მეეჭვება, რომ გაუძღოს. მოჭადრაკე ქალს კი შეუძლია თავი აიძულოს და იმდენ ხანს იმუშაოს, რამდენიც საჭიროა. დიახ, არის რაღაც კავშირი ქართველი ქალის გმირულ ხასიათსა და მის დღევანდელ ყოველდღიურ საქმიანობას შორის. ამ საქმიანობას ეკუთვნის საჭადრაკო ხელოვნების სიღრმეთა დაუფლებაც.

თავისი სიტყვების დასადასტურებლად აკადემიკოსმა მოიყვანა მაგალითები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, რომლებშიც ხოტბაშესხმულია ქართველი ქალის სახე. ცნობილი მეცნიერი გულში ჩამწვდომად, შთამაგონებლად ლაპარაკობდა...

ი. ვატნიკოვი,
მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი.

● როგორ უყურებთ იმას, რომ ნანა ალექსანდრიას სურს ჭადრაკის დედოფლის გვირგვინი ჩამოართვას ნონა გაფრინდაშვილს?

— ვფიქრობ, ასეთი მეტოქეობით ჭადრაკი მხოლოდ მოიგებს. მე ვხედავ, რომ ნანა ისევე შემოქმედებითად უდგება თამაშს, როგორი ძიდგომაც ნონასთვისაა დამახასიათებელი. ორივე მოჭადრაკე გამორჩევა მობილიზების უნარით, პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით და, რასაკვირველია, სითამამით. ჩემი აზრით, საჭადრაკო შემოქმედების პროცესს ბევრი რამ აქვს საერთო მეცნიერის, განსაკუთრებით კი მათემატიკოსის აზროვნების პროცესთან. ჭადრაკი, ისევე როგორც მეცნიერება, ადამიანისგან მოითხოვს ძალის სრულ შეწირვას, სიახლის დაუცხრომელ ძიებას, შეუპოვარ სწრაფვას დასახული მიზნისკენ. ნონას და ნანას ყველა ეს თვისება აქვთ. აღვნიშნავ რა მათს უდიდეს ნიჭს, ამავე დროს სინანულს გამოვთქვამ, რომ ამ ახალგაზრდა ქალებმა მეცნიერის გზა არ აირჩიეს.

● ახალგაზრდობაში თქვენც ხომ არ მოგიხდათ არჩევანის გაკეთება მეცნიერებასა და ჭადრაკს შორის?

— ჭადრაკით ბავშვობიდანვე ვიყავი გატაცებული და დიდ დროსაც ვუთმობდი ამ თამაშს. უფრო გვიან, უკვე სტუდენტობაში, რომელიღაც ტურნირში პარტია წავაგე და ორ ღამეს თვალი არ მომიხუჭავს: სულ საჭადრაკო კომბინაციები მელანდებოდა. ძალიან განვიცდიდი. მაშინ დავფიქრდი: რადგან წაგება ასე ახლოს მიმაქვს გულთან, ჩემგან დიდი მოჭადრაკე არ დადგება-მეთქი...

● მაგრამ მათემატიკოსებსაც ხომ ესიზმრებათ ხოლმე თეორემები და თურმე ამტკიცებენ კიდეც ძილში ამ თეორემებს (თუმცა, ჩვეულებრივ, მეორე დილით შტკიცებაში შეცდომას პოულობენ). ცნობილია, რომ მეცნიერებს ხშირად უჩნდებათ ძლიერი შემოქმედებითი განცდები...

— სწორედ ამიტომ, ამ გონებრივი დაძაბულობის გასაქარწყლებლად ადამიანმა ფიზიკურ კულტურას უნდა მიმართოს!

● ჯერ კიდევ მარქსი წერდა, რომ ჯანმრთელობა — ესაა „ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების ერთობლიობა“. მკითხველისთვის უთუოდ საინტერესო იქნება თქვენი აზრი ჩვენს ცხოვრებაში ფიზკულტურისა და სპორტის ადგილის შესახებ.

— ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში ფიზიკური კულტურა და სპორტი მნიშვნელოვან სოციალურ ფაქტორად იქცა. მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების (როგორც ფიზიკურის, ისე გონებრივის) ამაღლებაში, მშრომელთა გონივრული დასვენების ორგანიზაციაში მათ უდიდესი როლი ეკისრებათ.

იმ ამბავმა, რომ ბოლო ხანებში ფიზიკურმა კულტურამ და სპორტმა დიდი ადგილი დაიკავა ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, არ შეიძლება არ გაგვახაროს. მაგრამ ფიზკულტურის მნიშვნელობა ჯერ კიდევ ბევრს არა აქვს შეგნებული. ასეთი ადამიანები იძულებული არიან სულ უჭრო ხშირად მიმართონ ექიმს გულის ტკივილისა და ნერვული სისტემის გადაღლის გამო. მოსახლეობის ძირითადი მასა დღეს ქალაქში ცხოვრობს. ჰაერის გაბინძურება, ქალაქის ხმაური, ნაკლები მოძრაობა, რეგულარული ფიზიკური დატვირთვის უქონლობა — ეს ყველაფერი მავნებელია ადამიანისთვის. ესე იგი, ფიზკულტურის მუშაკების წინაშე დგას ამოცანა, რომ მოძებნონ ეფექტური ფორმები ასეთი ხალხის სისტემატურ ფიზკულტურულ მეცადინეობაში ჩაბმისთვის. ვინაიდან ჩვენს ეპოქაში წარმოებისა და ყოველდღიური ყოფის ავტომატიზაცია სულ უფრო მეტად გვთავისუფლებს ფიზიკური მუშაობისგან, სპორტის როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს.

სპორტული ვარჯიშის მოთხოვნილებას მარტო ღრმა ფიზიოლოგიური საფუძველი როდი აქვს. სპორტი აკმაყოფილებს კიდევ ერთ დიდ მოთხოვნილებას — ემოციური განტვირთვისას, რაც განსაკუთრებით საჭიროა დღეს ცხოვრების დაძაბული რიტმის გამო.

● ბევრი მ მიზნით სპორტულ ტელეგადაცემებს უყურებს. ახლა თბილისი მილიონობით არიან. და ისინი ალბათ თავს სპორტის მოყვარულებად მიიჩნევენ...

— ეს პასიური სპორტის სიყვარულია. აბა რა ყრია ცისფერი ეკრანის წინ უძრავად ჯდომაში? ეს მხოლოდ მაშინ არის მისაღები, როცა ადამიანი ერთ-ორ საათს აქტიურ სპორტულ გარჯიმსაც უთმობს — დარბის, ცურავს, ეუფლება სხვადასხვა სპორტულ თამაშს. ხშირად გაიგონებთ, რომ ადამიანს უნდა სპორტში მეცადინეობა, მაგრამ საკარჯიშო ადგილი ვერ უპოვია. მაგალითად, თბილისში აშენდა საბურთალოს ახალი მასივი. ამ მასივში ათი ათასობით ადამიანი ცხოვრობს, სპორტული მოედანი კი ძალიან ცოტაა. სამწუხაროდ, ასეთივე მდგომარეობაა სოფლებშიც. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მე ვმუშაობდი სკოლების კეთილმოწყობის ზოგიერთი საკითხის გადაჭრისთვის. თვალში საცემი იყო, რომ ქალაქისა და სოფლის ბევრ სკოლაში არ არსებობს სპორტში მეცადინეობისთვის აუცილებელი პირობები. ბავშვებს არა აქვთ სათამაშო, სარბენი ადგილი — სკოლების ირგვლივ მიწის ნაკვეთები ძალიან პატარაა. ჩემი აზრით, საცხოვრებელ ადგილებში სპორტული მოედნების მშენებლობა აქტუალურ პრობლემად იქცა და იგი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაიჭრას.

ზოგჯერ ხდება, რომ მშენებლები საქმესლოგანად ამბობენ სპორტულ მოედანს, მაგრამ იგი ძალიან მალე კარგავს „სპორტულ ფორმას“: სათანადოდ ვერ უვლიან. მე ისიც მაშფოთებს, რომ სულ უფრო მცირდება ჩვეულებრივი მინდვრების რიცხვი, სადაც ბავშვებს უბრალოდ ბურთის თამაში შეეძლებათ.

მაგონდება ჩემი ახალგაზრდობა. ჩემს მშობლიურ სოფელ შეშელეთში (გალის რაიონშია) ბავშვებიცა და უფროსებიც დიდი გატაცებით თამაშობდნენ ლელოს, ერომანეთს ეჯიბრებოდნენ რბენის სისწრაფესა და მოქნილობაში. რომ იცოდეთ, რა საინტერესო, რა მიმზიდველი თამაშია! სპორტული ელემენტი საუცხოოდ ერწყმის მის რომანტიკულ ხასიათს. მაგალითად, ზოგჯერ ერთ გუნდში თამაშობდნენ ცოლიანები, მეორეში — უცოლოები. თამაშის მონაწილენი სალაღობოდ ბევრი სხვა პრინციპითაც იყოფოდნენ ხოლმე ჯგუფებად. თამაში ბევრს შეეძლო, ხოლო ასპარეზობის სანახავად მთელი სოფელი იყრიდა თავს (მინდა ერთი მოგონება დავწერო ლელოზე). ამას წინათ ვიყავი შეშელეთში. თანასოფლელებს ვკითხე, ლელოს თამაშობთ-მეთქი? სად ვითამაშოთ, ადგილი არა გვაქვსო, მიპასუხეს. სულ უფრო იშვიათად თამაშობენ საქართველოს სოფლებში ლელოს. არადა, ამ პოპულარულმა ეროვნულმა სახეობამ ბევრი სპორტსმენი მისცა ჩვენს რესპუბლიკას. სულ უფრო იშვიათად ვხედავ კარგ ცხენოსნებს ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდობაში მეც გატაცებული ვიყავი ცხენოსნობით, როგორც ბევრი სხვა. მე ვფიქრობ, ხანდახან ბევრი ქალაქელიც სიამოვნებით იჯირითებდა, ცხენების ქირაობა რომ შეიძლებოდეს (სპორტულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გამოუყენებიათ ეს ფორმა ცხენოსნობის მასობრივად განვითარებისთვის). თბილისში არც ცურვის მოყვარულები არიან უკეთეს მდგომარეობაში (ახალგაზრდობაში ამ სახეობითაც ვიყავი გატაცებული) — საქართველოს დედაქალაქში ძალიან ცოტა საცურაო აუზია.

მე სპორტში მასობრივობის მომხრე ვარ. მინდა, რომ სპორტი ყველასთვის მისაწვდომი იყოს. მაგრამ ამ მიზნით ჩვენში ყველაფერი არ კეთდება.

კარგია, რომ ფართოდ ვითარდება სპორტის ეგრეთ წოდებული ორგანიზებული ფორმა, ესე იგი მეცადინეობა სპორტულ სექციებსა და სკოლებში. მაგრამ ყოველმხრივ უნდა შეეშუკოთ ხელი ეგრეთ წოდებულ არაორგანიზებულ სპორტსაც — ჯანმრთელობის, მხნეობის, სიხარულის მომტან სპორტს, თუ შეიძლება ითქვას, სპორტს საკუთარი თავისთვის. გაასაკუთრებით მოსხრე ვარ ეროვნულ სახეობათა განვითარებისა, სხვადასხვა სახის ქვეითი ლაშქრობებისა, ორიგინალური სპორტული შეჯიბრებებისა. მე მიამბეს, რა მრავალფეროვანი დევიზებით ტარდება სპორტული ღონისძიებები ტალინში. სპორტის მოყვარულებისთვის მიმზიდველია საერთაშორისო შეჯიბრებები „ტალინის მახვილის“ პრიზზე ფარიკაობაში, „გრძელი გერმანი“ — ფრენბურთში და სხვა. ცხოვრება წინ მიდის. ადამიანებს ახალ-ახალ მოთხოვნილებებიც მომყავდა. თუნდაც ალექსანდრე მეტრეველი ავიღოთ, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელი. მას ხშირად უადგება საზღვარგარეთ მოგზაურობა, მაგრამ საუცხოოდ სწავლობდა, უნივერსიტეტი დაამთავრა, ასპირანტურაში ჩაირიცხა. ან ნანა ალექსაძდრია გავიხსენოთ. შესანიშნავი მოჭადრაკეა. ტურნირებსა და მატჩებში წარმატებით თამაშობდა და სწავლაშიც არავის დაუდგა ტოლს.

თავის დროზე მე მივიღე თბილისის უნივერსიტეტში ნანას მამა. მერე ქალიშვილი გაიზარდა და სტუდენტურ სამყაროში მანაც ჩემი უშუალო მონაწილეობით შედგა ფეხი.

შემდეგ ჩვენ ისევ ჭადრაკს დავუბრუნდით. ვილაპარაკეთ ბევრ საინტერესო ტურნირზე. ცნობილმა მეცნიერმა თქვა, რომ ზოგჯერ დიდოსტატებისა და ოსტატების მონაწილეობით გამართული შეჯიბრებები „უფერულია“, გულშემატკივრები მათს მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენენ. „ცხოვრება წინ მიდის და საჭიროა ახალი გზების ძიება“, — შენიშნა ილია ვეკუამ.

შეუმჩნევლად მივადექით „ფიშერის პრობლემას“.

— ფიშერი, რა თქმა უნდა, ძალიან ნიჭიერი მოჭადრაკეა, — თქვა აკადემიკოსმა. — სპორტი სპორტია — შეიძლება მოიგო, შეიძლება წააგო. მე უცნაურს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ მან მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო. გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებული მოჭადრაკე მსოფლიოს ყველა კუთხეში შეიძლება დაიბადოს. სხვა საქმეა ის პრობლემა, რასაც საჭადრაკო სამყაროს წინაშე აყენებს გვირგვინის მფლობელი. ფიშერმა საგონებელში ჩააგდო ჭადრაკის გულშემატკივრები თავისი ქცევით: ითამაშებს თუ არ ითამაშებს? მალე უძლიერესი საბჭოთა დიდოსტატი ხელთათმანს გადაუგდებს მსოფლიო ჩემპიონს. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ იგი არა მარტო ბრძოლაში გამოიწვევს ამერიკელ დიდოსტატს, არამედ ჩამოართმევს კიდეც გვირგვინს.

● სამაგიეროდ, ქალთა სამეფოს გვირგვინი საიმედო ხელშია. თქვენს რესპუბლიკაში ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას კვალზე მიდის ნიჭიერ მოჭადრაკეთა მთელი თაობა. თქვენი აზრით, რა განაპირობებს საქართველოში „ქალთა ჭადრაკის“ ესოდენ საოცარ წარმატებებს?

— ამაზე მეც ხშირად ვფიქრობ. ჩემი აზრით, ამ წარმატებათა საფუძველია ქართველი ქალისთვის დამახასიათებელი ადამიანური თვისებები — დიდი შრომისმოყვარეობა, უაღრესად განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა, თავისი საქმის ღრმა რწმენა, საქმისთვის მთელი ძალის შეწირვის უნარი... ყველაფრის ჩამოთვლა ძნელია. ქართველმა ქალებმა თავი გამოიჩინეს არა მარტო ჭადრაკში, არამედ შემოქმედების სხვა სახეებშიც, მუსიკალურ საშემსრულებლო სფეროში, მაგალითად, ამისთვის საჭიროა დიდი, ყოველდღიური შრომა. ახა სცადეთ და კაცი დასვით დღეში რამდენიმე საათს ჭადრაკის სახელმძღვანელოებთან. მეეჭვება, რომ გაუძღოს. მოჭადრაკე ქალს კი შეუძლია თავი აიძულოს და იმდენ ხანს იმუშაოს, რამდენიც საჭიროა. დიახ, არის რაღაც კავშირი ქართველი ქალის გმირულ ხასიათსა და მის დღევანდელ ყოველდღიურ საქმიანობას შორის. ამ საქმიანობას ეკუთვნის საჭადრაკო ხელოვნების სიღრმეთა დაუფლებაც.

თავისი სიტყვების დასადასტურებლად აკადემიკოსმა მოიყვანა მაგალითები ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, რომლებშიც ხოტბაშესხმულია ქართველი ქალის სახე. ცნობილი მეცნიერი გულში ჩამწვდომად, შთამაგონებლად ლაპარაკობდა...

ი. ვატნიკოვი,
მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი.

სსრ კავშირის
პირველობა



დინამოელები კვლავ დამარცხდნენ

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	მ.	ქ.
„დინამო" (კიევი)	19	9	8	2	27—12	26
„ზენიტი" (ლენინგრადი)	19	6	12	1	24—22	24
„სპარტაკი" (მოსკოვი)	19	8	7	4	20—15	23
„ტორპედო" (მოსკოვი)	19	8	6	5	25—18	22
„ჩერნომორეცი" (ოდესა)	18	7	7	4	27—22	21
„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	19	7	7	5	18—17	21
„დინამო" (მოსკოვი)	18	6	8	4	25—19	20
„არარატი" (ერევანი)	18	6	6	6	20—17	18
„შახტიორი" (დონეცკი)	18	4	9	5	17—19	17
ცსკა	19	5	7	7	22—25	17
„შახთაკორი" (ტაშკენტი)	19	5	7	7	26—32	17
„ქაირათი" (ალმა-ათა)	18	4	8	6	26—26	16
„დინამო" (თბილისი)	19	3	9	7	15—26	15
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)	18	4	6	8	22—25	14
„კარპატი" (ლვოვი)	18	2	9	7	13—20	13
„ნისტრუ" (კიშინიოვი)	18	3	6	9	24—36	12

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 21 აგვისტო.

„ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი) 4:1 (3:0).

„ტორპედო": ელიზაროვი, ტუკმანოვი, პახომოვი, ბუტუსლაკინი, ხუდიევი, მაქსიმენკოვი, ფილატოვი, ნიკონოვი, იურინი (სოლოვიოვი), ესკოვი (ბელოუსოვი), დეგტიარევი.

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, კანთელაძე, ხურცილავა, გავაშელი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, გ. მაჩაიძე, გუცაევი, გ. ნოდია, წერეთელი.

მსაჯი ი. სერგიენკო (ხარკოვი).

დუბლიორები — 3:0 „ტორპედოს" სასარგებლოდ.

ის, რაც წლეულს თბილისის „დინამოს" მოსდის, ყოვლად გაუგებარი, ამოუხსნელი ამბავია. რომ აიღოთ ცალკეული მოთამაშეები, ინდივიდუალურად შეაფასოთ მათი შესაძლებლობანი, გუნდი, თითქოს, ურიგო არაა და სადღაც პირველი ხუთეულის სიახლოეს უნდა იმყოფებოდეს, მაგრამ ხუთეულს ვინ დაეძებს, როცა ათეულიც სანატრელია და თბილისელთა განთქმულ კოლექტივს მთელი სეზონია თავი ვერ დაუღწევია იმ ზონიდან, სადაც მას ჯერ არა ჰქონია საქმე თავისი არსებობის მანძილზე. მართალია, ადრეც იყო ჩავარდაცემი (ეს ვის არ ჰქონია), მაგრამ ასეთი — არასოდეს! დინამოელთა პროგრამამაქსიმუმს წლევანდელ ჩემპიონატში პრაქტიკულად წარმოადგენს უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების პრობლემა, ეს კი მხოლოდ სერიოზული კრიზისით უნდა აიხსნას.

მაგრამ ერთიც უნდა ითქვას: თუ კი ფეხბურთში არსებობს ე. წ. სპორტული ბედი, იგი აშკარად არ წყალობს თბილისელებს. ამ მატჩშიც, რომელიც დიდი ახგარიშით იქნა წაგებული, მათ არაერთი მომენტი ჰქონდათ მდგომარეობის გამოსასწორებლად, ბურთი კი არაფრით არ მიდიოდა მიზანში, ან თუ მადიოდა, მეკარე ელიზაროვს უვარდებოდა ხელთ, რომელმაც, ფიქრობთ, თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა.

ტორპედოელთა-ბოლო დროის წარმატებები ყველამ კარგად იცის. გიხსენეთ, რომ პირველი 8 ტურის შემდეგ ეს გუნდი 5 ქულით ბოლო ადგილზე იმყოფებოდა და გატანილი ჰქონდა სულ... 1 ბურთი, ასლა კი უკვე 8 ტურია ტორპედოელებმა არ იციან რა არის მარცხი, ზედიზედ მოიგეს 6 მატჩი, თანაც 3 — დიდი ახგარიშით. მაყურებლები, რომელთა რაოდენობა საკმაოდ იყო სტადიონზე, ინტერესით მოელოდნენ შეძლებდნენ თუ არა თბილისელები მეტოქის ამ ძლევამოსილი წინსვლის შეჩერებას და საკუთარი მოკრძალებული ბალანსის გაუმჯობესებას. დინამოელებმა ეს ვერ შეძლეს და ამაში გარკვეული როლი შეასრულა მატჩის დასაწყისმა. ისინი კვლავ ზედმეტად ატარებდნენ ბურთს, უსარგებლოდ კარგავდნენ დროს, მაშინ როცა მოსკოველები შორეული ზუსტი გადაცემებით სწრაფად გადადიოდნენ კონტრიერიშზე. სწორედ ასეთი გადაცემა მიიღო ფილატოვმა მე-7 წუთზე იურინისგან, მცველებს იგი ამ მომენტში უყურადღებოდ ყავდათ დატოვებული და ტორპედოელმაც არ დააყოვნა — 1:0.

გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრებმა გამოასწორეს თამაში, მასში გამოჩნდა კოლექტიურ მოქმედებათა ელემენტები და „ტორპედოს" კართან ზედიზედ შეიქმნა სახიფათო მომენტები. გოლის გატანა შეეძლოთ წერეთელს, ნოდიას (ერთხელ ბურთი თან ძელს მოახვედრა), მ. მაჩაიძეს, ებრალიძეს, მაგრამ მათ ეს ვერ შეძლეს, სამაგიეროდ მასპინძლებმა კვლავ გაითამაშეს კომბინაცია გრძელი გადაცემით და 25-ე წუთზე იურინმა ანგარიში 2:0-მდე გაზარდა.

მდგომარეობა, თითქოს, უიმედო იყო, დინამოელები კი კვლავ უტაკვნენ. ელიზაროვმა ორჯერ ისსნა თავისი გუნდი მ. მაჩაიძის უძლიერესი დარტყმებისგან, წერეთელმა და გუცაევმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობანი, „ტორპედოს" დაცვას და მეკარეს წუთით არ ჰქონდათ მოცლა. მაგრამ ყველაფერი ეს უშედეგოდ დამთავრდა. მეტიც: 39-ე წუთზე თბილისელთა მცველებმა დროზე ვერ ჩაკეტეს ნიკონოვი და ტორპედოელთა კაპიტნის ზუსტი დარტყმის შემდეგ გოგიას მესამედ მოუხდა ბურთის გამოტანა ბადიდან. ასე იყო: უტევდნენ თბილისელები, გოლები კი მოსკოველებს გაჰქონდათ.

მეორე ტაიმში ნოდიამ შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა (52-ე წუთი), მაგრამ უკვე მატჩის დასასრულს, როცა საფინალო სასტვენს სულ რამდენიმე წუთი აკლდა, ნიკონოვმა საბოლოოდ დაუსვა წერტილი ანგარიშს — 4:1.

ვ. კავლოვი,
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).



21 აგვისტოს გაიმართა II ლიგის III ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები: „დინამო" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია) 3:1, „ტორპედო" (ვლადიმირი) — „ფოლადი" (სუმგაითი) 3:1, „ხიმიკი" (ძერჟინსკი) — „შირაკი" (ლენინაკანი) 3:0, „ხიმიკი" (ხოვომოსკოვსკი) — „ლორი" (კიროვაკანი) 5:0, „დინამო" (ვოლოგდა) — „დინამო" (კიროვობადი) 4:1, „ისკრა" (სმოლენსკი) — „კოლხეთი" (ფოთი) 2:0, „დინამო" (ბრიანსკი) — „გურია" (ლანჩხუთი) 2:0, „ურალანი" (ელისტა) — „დინამო" (ზუგდიდი) 5:0, „დინამო" (სტავროპოლი) — „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 24 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	მ.	ქ.
„დინამო" (ბათუმი)	26	14	9	3	38—13	37
„ტორპედო" (ვლადიმირი)	26	14	8	4	40—18	36
„ისკრა" (სმოლენსკი)	26	15	5	6	42—20	35
„დინამო" (ვოლოგდა)	26	13	7	6	40—25	33
„დილა" (გორი)	25	14	4	7	50—28	32
„ურალანი" (ელისტა)	26	13	6	7	32—23	32
„ხიმიკი" (ძერჟინსკი)	26	12	7	7	35—23	31
„ლოკომოტივი" (სამტრედია)	26	11	8	7	31—31	30
„დინამო" (სტავროპოლი)	26	9	7	10	35—27	25
„მერცხალი" (მახარაძე)	25	8	9	8	32—31	25
„ბერია" (ლანჩხუთი)	26	6	13	7	33—34	25
„დინამო" (ბრიანსკი)	26	10	5	11	31—32	25
„კალიტვა" (ბელაია კალიტვა)	26	10	4	12	29—29	24
„დინამო" (კიროვობადი)	25	9	4	12	33—33	22
„ხიმიკი" (ხოვომოსკოვსკი)	26	9	3	14	25—34	21
„დინამო" (ზუგდიდი)	26	8	4	14	28—49	20
„შირაკი" (ლენინაკანი)	25	7	5	13	26—42	19
„კოლხეთი" (ფოთი)	26	6	6	14	17—33	18
„ლორი" (კიროვაკანი)	25	3	7	15	14—50	13
„ფოლადი" (სუმგაითი)	25	5	1	19	16—52	11

ტრეკიდან გზატკეცილზე

ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატმა მონრეალის ტრეკიდან გზატკეცილზე გადაინაცვლა. მაგრამ, სანამ „მარათონელთა" შეჯიბრებებზე დავიწყებთ საუბარს, დროებით ტრეკს უნდა დავუბრუნდეთ, სადაც შეჯიბრების ბოლო დღეს რამდენიმე ოქროს მედალი გათამაშდა.

ჯერ ორიოდე სიტყვა პროფესიონალების შესახებ. სპრინტში მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დანიელმა პ. პედერსონმა მოიპოვა, სალიდერო რბოლაში კი ყველას ჰოლანდიელებმა აჯობეს (ველოსიპედისტი კ. შტამი, ლიდერი — ე. შტაკენბურგი). პროფესიონალი სპრინტერების ძალა ცნობილია, მაგრამ, ბოლო წლების მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ, ფრანგ პოლიციელს დ. მორელონს ბადალი არ ჰყავდა პროფესიონალებშიც. ამბობენ, რომ პროფესიონალები უფრო ტექნიკურად წარმართავდნენ რბოლასო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ ხშირად გაუმართლებელ რისკზე მიდიან, ეცემიან და ტრავმებს იღებენ. ასე მოხდა ამჯერადაც პედერსონ — ნიკოლსონის (ავსტრალია) ფინალურ მატჩში. პირველ ცდაზე ავსტრალიელმა ისე აგო რბოლა, რომ პედერსონს ერთ მომენტში რამდენიმეტრიანი ნახტომის გაკეთება მოუხდა. დანიელი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა, მაგრამ განმეორებითს რბოლაში ოდნავი სიფრთხილეც არ გამოუჩენია. პირიქით, ახლა უკვე პედერსონი აგრესიულობდა და მეტოქეს კრიტიკულ სიტუაციაში აგდებდა.

ამ რბოლის შედეგი მკითხველისთვის ცნობილია: საბოლოო ჯამში გაიმარჯვა პედერსონმა და მსოფლიო ჩემპიონიც გახდა.

მოყვარულებმა ბოლოსწინა დღეს ოქროს მედლები გაითამაშეს ტანდემებით რბოლაში. ყველას აჯობა ჩეხოსლოვაკიის წყვილმა — ვ. ვაჩკარმა და მ. ვიმაზალმა. საბჭოთა დუეტს ვ. სემენეცისა და ვ. კოპილოვის შემადგენლობით ვერცხლის ჯილდო ერგო.

პროგრამის ბოლო სახეობა გამოდევნებით გუნდური რბოლა იყო. აქ სპეციალისტთა უმრავლესობა საბჭოთა კვარტეტის გამარჯვებაში იყო დარწმუნებული, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მოულოდნელად დამავდა გუნდის ლიდერი ე. რაპი. იგი ახალგაზრდა კ. ზაცეპინით შეცვალეს, რომელიც ამ ძნელი ბრძოლისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. საბოლოო ჯამში საბჭოთა ნაკრები (ვ. პეტრაკოვი, ვ. ოსკინი, პ. დომოფილკინი და კ. ზაცეპინი) IV ადგილზე გავიდა, ჩემპიონობა კი გფრ-ის გუნდმა მოიგო (ჰ. ლუტცი, პ. ფონჰოფი, გ. შუმახერი, დ. ტიურაი), რომელმაც ფინალში დაამარცხა გდრ-ის ველოსიპედისტები — 4.22,20.

ახლა რამდენიმე სიტყვა გზატკეცილზე მოასპარეზეთა შესახებ. გაიმართა გუნდური რბოლა 100 კილომეტრზე. ძირითადი ბრძოლა პირველობისთვის საბჭოთა კავშირისა და შვეიცის კოლექტივებს შორის გაჩაღდა. ფინიშთან უფრო ადრე შვედი ველოსიპედისტები მივიდნენ და ოქროს მედლებიც სწორედ მათ გადაეცათ — 2:12.22. საბჭოთა გუნდი გამარჯვებულს მხოლოდ 2 წამით ჩამორჩა. გ. კომნატოვს, რ. შარაფულინს (ორივე — ომსკი), ვ. კამინსკის (მინსკი) და ვ. ჩაპლიგინს (კურსკი) ვერცხლის მედლები ერგოთ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ შარშანდელი ჩემპიონი — პოლონეთის ნაკრები ამჯერად მხოლოდ VII ადგილზე იყო.

თასი — „მეტალურგს"

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 21 აგვისტო.

„მეტალურგი" (რუსთავი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:1 (1:0, 1:1, 2:1, 2:1).

„მეტალურგი": მელაძე, ავერინი, პავლოვი, კირვალიძე, ჯიქია, გოგუაძე, მაისურაძე (კონიაშვილი), ჯაფარიძე, ნუცუბიძე (ენკრიაშვილი), მექაშავიძე, შენგელია.

ფიზკულტურის ინსტიტუტი: კაკაურიძე, არაქელოვი, ნემსაძე, კორაშვილი, ძაგოევი, კოპალეიშვილი, ციკოლია, წიკლაური, სანაძე (ცანტურია), ალადაშვილი (თუნთია), გიგოლაშვილი.

მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ის, რომ საქართველოს თასის ფინალურ მატჩს დაუთმეს რესპუბლიკის ყველაზე უფრო დიდი მოქმედი სტადიონი, სადაც საკავშირო ჩემპიონატის მატჩები იმართება, ყოველმხრივ მისასალმებელია. ფინალი მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს საფეხბურთო ცხოვრებაში და მას შესაბამისი ყურადღება ესაჭიროება, მაგრამ მაყურებელთა ერთმა ნაწილმა სამართლიანი უკმაყოფილება გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მატჩი არ იყო სათანადოდ რეკლამირებული, ამიტომ ბევრმა ფეხბურთის მოყვარულმა არ იცოდა მისი ჩატარების დრო, ადგილი და ვერ დაესწრო მას.

მაგრამ ის მცირერიცხოვანი მაყურებელი, ვინც ტრიბუნებზე ისხდა ამ დღეს, საკმაოდ საინტერესო და დაძაბული ბრძოლის მოწმე გახდა. თამაში დაიწყო მეტალურგების სწრაფი, კარგად ორგანიზებული ეერიმებით, მე-3 წუთზე მათ მოპირდაპირე კართან სახიფათო მომენტი შექმნეს, წუთის შემდეგ კი პირველ წარმატებას მიაღწიეს: ჯაფარიძემ ზუსტად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა — 1:0. ამ გოლს აღტაცებული ყიჟინით შეხვდა აღმოსავლეთი ტრიბუნა. საქმე ისაა, რომ აქ თავი მოიყარა „მეტალურგის" ქომაგების ჯგუფმა, რომელიც მთელი მატჩის განმავლობაში თავგამოდებით ამხნევებდა თავის გუნდს, მხარდაჭერას არ აკლებდა ფეხბურთელებს, აიძულებდა მათ მთელი ძალით ეთამაშათ. ცუდი ამაში, დაგვერწმუნებით, არაფერია.

გაშვებულმა ბურთმა გარკვეული მობილიზება შეიტანა სტუდენტთა შორის. მათ მაშინვე მოუმატეს ტემპს, ამოქმედდნენ მეტი მონდომებით, მეტი ენერგიით: 15-20 წუთის შემდეგ საერთო ინიციატივა ინსტიტუტის გუნდის მხარეს იყო, რუსთაველებს საფუძვლიანად მოუხდათ დაცვითი რივების გამაგრება, წინა ხაზზე კი კონტრშეტევებისთვის შენგელია და მიქამავიძე დარჩნენ, რომლებსაც შესაძლებლობის ფარგლებში მხარს უმაგრებდნენ ჯაფარიძე, მაისურაძე.

შესვენების შემდეგ თამაში კიდევ უფრო გამწვავდა. თბილისელებმა სანაძის მაგივრად მინდორზე ჭანტურია გამოიყვანეს, რომელმაც ზედიზედ შექმნა სახიფათო მომენტები „მეტალურგის" კართან და ერთ-ერთი მათგანისას იგი უსემად წააქცია კირვალიძემ. პენალტი ზუსტად დაარტყა წიკლაურმა — 1:1.

სტგირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშნა. რუსთაველმა ფეხბურთელებმა ამ 30 წუთის მანძილზე კვლავ ხელთ აიღეს საერთო ინიციატივა, მთელი ძალით იბრძოლეს და დამსახურებულ გამარჯვებასაც მიაღწიეს. გადამწყვეტი ბურთი 94-ე წუთზე კვლავ ჯაფარიძემ გაიტანა — 2:1.

რუსთავის „მეტალურგს" (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ფ. ჭელიძე) გადაეცა საპატიო თასი, ხოლო მოთამაშეებს — I ხარისხის დიპლომები. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრები (მწვრთნელი ი. ზაქარიაძე) დაჯილდოვდნენ II ხარისხის დიპლომებით.

რ. ქორიძე.

* * *

სურათზე: ფინალური მატჩის მომენტი.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ჩემპიონატის წინ თავისუფალ ჭიდაობაში

სარგბიელი ფალავნებს მოელის

29 აგვისტოს სტამბოლში სტარტს აიღებს მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, ოთხი დღის შემდეგ კი უკვე ცნობილი იქნება ოქროს მედლების მფლობელთა ვინაობა ათივე წონიოს კატეგორიაში.

რატომ ტარდება ეს ტურნირი მაინც და მაინც თურქეთში? იმიტომ რომ, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის აზრით, ამ ქვეყანას შესწევს უნარი ჩაატაროს მსოფლიოს მოჭიდავეთა დიდი ფორუმი, იმიტომ რომ თურქეთის გულშემატკივრები მონატრებული არიან დიდ საერთაშორისო ტურნირებს და ბოლოს, რაც მთავარია, იმიტომ რომ ჭიდაობა მუდამ იყო და არის თურქეთში უპირველესი სპორტი.

როგორც ბრაზილია წარმოუდგენელია ფეხბურთის გარეშე, ისე არ შეიძლება თურქეთის სპორტზე ლაპარაკი, თუ ჭიდაობას არ ვახსენებთ. თურქეთში სახელოვან მოჭიდავეთა თავისებური კულტია. იქაური ფეხლეგანები ეროვნულ გმირთა რანგამდე არიან აყვანილი.

ამ მხრივ საგულისხმოა ერთ დროს ცნობილი ფალავნის აპმედ აიკის კარიერის დასასრული და მასთან დაკავშირებული ზეიმი, რომელიც მთელმა თურქეთმა დიდი სიყვარულით გადაიხადა. იგი ათეულ ათასობით გულშემატკივარმა გააცილა დიდი სპორტიდან თბილი სიტყვებით, კეთილი სურვილებითა და დაუვიწყარი მოგონებებით.

ბოლო წლებში ჭიდაობა (როგორც თავისუფალი, ისე კლასიკური) ღრმა კრიზისს განიცდის თურქეთში. უკვე კარგა ხანია, რაც იქაური ათლეტები არ ირიცხებიან მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონთა სიებში. თურქეთი ამ მარცხს მტკივნეულად განიცდის და ეძებს გზებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ვინ იცის, იქნებ დადგა აღორძინების დღე? იქნებ სწორედ ამ ჩემპიონატმა უნდა დაუბრუნოს თურქეთს საჭიდაო სამყაროში დაკარგული ავტორიტეტი? ყველაფერი მოსალოდნელია, მით უმეტეს, რომ ჩემპიონატი სწორედ თურქეთში ტარდება.

მსოფლიო ჩემპიონატის მთავარ ფავორიტს — სსრ კავშირის ნაკრებს შეგნებული აქვს მდგომარეობის სირთულე და ამიტომაც გაორკეცებული ენერგიით ემზადებოდა პასუხსაგები სტარტებისთვის. მზადება უმთავრესად ნორმალურად ჩატარდა და ნაკრების შემადგენლობაში არსებითი ცვლილებები არ მოუხდარა, თუმცა მწვრთნელებს მცირედი საფიქრალი მაინც ჰქონდათ.

საბჭოთა ნაკრების საბოლოო შემადგენლობაში ეჭვს იწვევს მხოლოდ 3 წონა. ყველაზე მსუბუქ წონიოს კატეგორიაში (48 კგ) საკავშირო ჩემპიონატის დღეებში დაშავდა ევროპის ჩემპიონი ვ. ტოპჩინაკოვი. ეს ნაკრებისთვის დიდი დანაკლისი იყო, მით უმეტეს, რომ შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა რ. დმიტრიევმა მოიმატა წონა, ამბერიდან იგი უფრო მაღალ კატეგორიაში ასპარეზობს. 48 კგ წონა საბჭოთა მწვრთნელების პირველი სერიოზული საზრუნავია.

სრულიად მოულოდნელად ავად გახდა და ჩემპიონატისთვის სამზადისის ბოლო ეტაპში მონაწილეობა არ მიუღია მიუნჰენის ოლიმპიადის ჩემპიონს ზ. აბდულბეკოვს (68 კგ). ამ გამოცდილი ათლეტების შეცვლა კი არც ისე იოლია. აი, ნაკრების მწვრთნელთა მეორე საზრუნავი.

კიდევ ერთი გადაჯგუფება მოხდა ქვემძიმე წონაში. როგორც ცნობილია, მიუნჰენის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონმა, კრასნოიარსკელმა ი. იარიგინმა წლეულს რამდენიმე დასანანი მარცხი იწვნია. იგი აშკარად არ არის ფორმაში და რა გასაკვირია, რომ მწვრთნელებმა შეცვალეს... ვეტერანით, კიეველი ვ. გულიუტკინით, რომელიც კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა სარბიელს. დიდ სპორტში დაბრუნება მუდამ გარკვეულ რისკთანაა დაკავშირებული. ვნახოთ, შეარყევს თუ არა ამ ჭეშმარიტების საფუძვლებს ვეტერანი.

დანარჩენ წონიოს კატეგორიებში სსრ კავშირს ძირითადი ძალა გამოჰყავს. მძიმე წონაში საკრების ღირსებას დაიცავს მსოფლიოს ჩემპიონი ს. ანდიევი. 90 კგ წონაში იასპარეზებს მიუნჰენის ოლიმპიადისა და მსოფლიოს ჩემპიონი, თბილისელი ლ. თედიაშვილი. ლენინგრადელმა ვ. ნოვოჟილოვმა ერთი თვის წინათ თავი გამოიჩინა ევროპის ჩემპიონატში. მას დაეკალა გუნდის ინტერესების დაცვა ამჯერადაც 82 კგ წონიოს კატეგორიაში. გამარჯვების მტკიცე რწმენით მიემგზავრებიან სტამბოლს XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი დ. დმიტრიევი (52 კგ) და ევროპის ჩემპიონი რ. აშურალიევი (74 კგ).

დაბოლოს, ზედმეტი არ იქნება თუ გავიხსენებთ შარშანდელ მსოფლიო ჩემპიონთა გვარებს და საბჭოთა მოჭიდავეების მიერ დაკავებულ ადგილებს. 48 კგ. 1. დმიტრიევი (სსრ კავშირი), 52 კგ. 1. ჯავადი (ირანი), 2. ალახვერდიევი (სსრ კავშირი), 57 კგ. 1. ფარახფაში (ირანი)... 3. იუმინი (სსრ კავშირი), 62 კგ. 1. აბდულბეკოვი (სსრ კავშირი), 68 კგ. 1. კიზერი (აშშ), 2. ნასრულაევი (სსრ კავშირი), 74 კგ. 1. ბარუეგარი (ირანი), 2. აშურალიევი (სსრ კავშირი), 82 კგ. 1. სიულეინი (სსრ კავშირი), 90 კგ. 1. თედიაშვილი (სსრ კავშირი), 100 კგ. 1. იარიგინი (სსრ კავშირი), მძიმე. 1. ანდიევი (სსრ კავშირი).

გუნდური ადგილები: 1. სსრ კავშირი — 55 ქულა, 2. ირანი — 28, 3. ბულგარეთი — 28.

ტურისტული ბილიკებით

ა. გურასაშვილის ფოტო.

მონაწილეობს ოთხი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი

მოსკოვში, ცსკა-ს ძალოსნობის სასახლეში, მიმდინარეობს სსრ კავშირის თასის გათამაშება ჭადრაკში, ანუ, როგორც მას სხვაგვარად უწოდებენ, სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი.

შეჯიბრებაში ჩაება სპორტსაზოგადოებათა ათი ნაკრები გუნდი. საჭადრაკო დაფებს მიუჯდა 19 დიდოსტატი და 60-ზე მეტი ოსტატი. მონაწილეთა შორის არიან მსოფლიოს ექს-ჩემპიონები: ბ. სპასკი („ლოკომოტივი"), ტ. პეტროსიანი („სპარტაკი"), მ. ტალი („დაუგავა") და ვ. სმისლოვი („ბურევესტნიკი"), აგრეთვე, დიდოსტატები მ. ტაიმანოვი, ი. ბალაშოვი (ორივე — „ბურევესტნიკი"), რ. ვაგანიანი, ა. ლეონი (ორივე — „სპარტაკი"), ლ. პოლუგაევსკი, ი. პლატონოვი (ორივე — „ლოკომოტივი"), გ. კუზმინი („ავანგარდი"), ი. ავერბახი („ზენიტი"), დ. ბრონშტეინი („დინამო"), ვ. გელერი (ცდსა) და სხვ.

მონაწილეთა შორის არიან ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებიც — დიდოსტატი ბ. გურგენიძე, საერთაშორისო ოსტატი მ. ჩიბურდანიძე, ოსტატი ვ. უბილავა (სამივე — „დინამო") და დიდოსტატი ვ. გუფელდი (ცდსა).

პირველ ტურში „ლოკომოტივისა" და „ტრუდის" გუნდების შეხვედრაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სპასკიმ წააგო ვ. ცეშკოვსკისთან („ტრუდი"). აქ ჯერჯერობით ანგარიშია 5,5:1,5 „ტრუდის" სასარგებლოდ. ორი პარტია გადადებულია.

„დაუგავისა" და „ზენიტის" შეხვედრაში მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა უკეთეს პოზიციაში გადადო პარტია ავერბახთან. აქ ანგარიშია 3,5:1,5 (4) „დაუგავის" სასარგებლოდ.

„ბურევესტნიკისა" და „სპარტაკის" გუნდების შეხვედრაში ორმა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა — სმისლოვმა და პეტროსიანმა ერთმანეთთან პარტია ყაიმით დასასრულეს. ანგარიში ჯერჯერობით საყაიმოა — 2.2 (5).

„ავანგარდი" დაწინაურდა არმიელებთან შეხვედრაში — 4:3 (2), ასევე „დინამო" უგებს „მოლდოვას" — 4:2 (3).

II ტურში „ტრუდისა" და „დაუგავის" შეხვედრაში ცეშკოვსკი უგებდა ტალს, მაგრამ მოულოდნელად შამოთის მუჭარა გამორჩა და წააგო. ჯერჯერობით ანგარიშია 3:2 (4) „ტრუდის" სასარგებლოდ.

„ბურევესტნიკისა" და „ლოკომოტივის" შეხვედრაში გუნდების ლიდერების — სმისლოვისა და სპასკის შეხვედრა ყაიმით დასრულდა. ანგარიშიც ჯერჯერობით საყაიმოა — 1,5:1,5 (6). საყაიმო ანგარიშია „ზენიტისა" და ცდსა-ს შეხვედრაშიც — 2:2 (5). ავერბახისა და გელერის პარტია ყაიმით დამთავრდა.

„სპარტაკი" დიდი ანგარაშით უგებს „დინამოს" — 4:0 (5), ხოლო „ავანგარდი" — „მოლდოვას" — 4,5:1,5 (3).

შეჯიბრება 2 სექტემბერს დამთავრდება.

რა ახლოს იყო რეკორდი!

დასავლეთ ბერლინში მიმდინარე მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო ტურნირის კულმინაცია სიმაღლეზე მხტომელ ვაკთა შეჯიბრება იყო. როგორც სპეციალისტები ვარაუდობდნენ, I ადგილი არავის დაუთმო ამერიკელმა დუაიტ სტოუნზმა, მაგრამ ამჯერად მხედველობაში გვაქვს არა მისი გამარჯვება, არამედ შედეგი, რომელმაც განაპირობა მსოფლიო რეკორდმენის წარმატება.

სტოუნზმა I ადგილი დაიკავა შედეგით — 226 სმ, რომელიც, მართალია, არ არის მსოფლიო რეკორდი, მაგრამ წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგად ითვლება, მაგრამ ამერიკელი მსოფლიო რეკორდთანაც სულ ახლოს იყო. უფრო მეტიც, მან დაძლია 231-სანტიმეტრიანი სიმაღლე და ის იყო სტადიონზე ტაშს უნდა ეკუნა, რომ სარეკორდო სიმაღლეზე გადებული თამასა... მიწაზე დავარდა.

ნახტომი გაუქმდა, მაგრამ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სტოუნზი უმოკლეს ხანში მიაღწევს საწადელს.

საერთოდ კი ამ ასპარეზობაში ამერიკელი მძლეოსნები კარგად გამოდიან. მათ უკვე მოიპოვეს I ადგილები 100 მეტრზე (ს. რიდიკი — 10,2), 110 მ თარჯრბენში (ჩ. ფოსტერი — 13,4), 400 მ თარჯრბენში (ჯ. ბოლდინგი — 48,9) და ბირთვის კვრაში (ა. ფეიერბახი — 20 მ. 99 სმ).

დანარჩენი შედეგებიდან აღსანიშნავია კენიელი მ. ბოიტის გამარჯვება 800-მეტრიან დისტანციაზე — 1.44,3, პოლონელი ი. შვინსკას მაჩვენებლები 100 (11,1) და 200 (22,6) მეტრზე რბენაში. I ადგილები დაისაკუთრეს, ავრეთვე, ა. ერჰარდმა (გდრ) 100 მეტრზე თარჯრბენში (12,8), კ. კასპერჩიკმა (პოლონეთი) — 400 მეტრზე რბენაში (52,0), გფრ-ის ქალთა გუნდმა — 4×100 მეტრზე ესტაფეტაში (43.0).

მაილსი მსოფლიო ჩემპიონია

ჭაბუკ მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო ტურის წინ გამარჯვებული გამოვლინდა. ეს გასლავთ 19 წლის ინგლისელი, შეფილდის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტი ჯ.-ჯ. მაილსი. მან VIII ტურში მოუგო თავის ერთ-ერთ ძირითად მეტოქეს, ლენინგრადელ სტუდენტ ა. კონიევს და 6,5 ქულა დააგროვა. მაილსის უახლოეს მეტოქეს, ჰოლანდიელ რ. დიეკს 5 ქულა აქვნდა და ამ ტურში შეჯიბრების აუტსაიდერს ვ. სუნიე-ნეტოს ხვდებოდა. ბრაზილიელმა გაიმარჯვა და მაილსი მიუწვდომელი გახდა დანარჩენ მეტოქეთათვის.

თუ ჩემპიონი გამოვლინდა, სამაგიეროდ, დიდი ბუნდოვანებაა დანარჩენი საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში. ზხოლოდ ბოლო, IX ტური გაარკვევს ძალთა საბოლოო განაწილებას. კონიევსა და დიეკს გარდა, საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის შანსი აქვთ შვედ ლ. შნაიდერს (VIII ტურში დაამარცხა დასავლეთგერმანელი პ. მაკი და მასაც კონიევივით 4,5 ქულა აქვს), იუგოსლავიელ ს. მარიანოვიჩს (ყაიმით დაამთავრა შეხვედრა არგენტინელ ს. გიარდელისთან და 4,5 ქულა მოაგროვა) და გიარდელის — 4 ქულა.

დასასრულს დავძენთ, რომ მაილსი პირველი ინგლისელია, რომელმაც ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა.



მიზნისკენ!

მ. თათარიშვილის ფოტო.

ფეხბურთის ჭეშმარიტი ვირტუოზი

საფრანგეთის ტელევიზიის ჯილდო

საფრანგეთის ტელევიზიამ მოაწყო სპეციალისტთა გამოკითხვა: რომელი გუნდი თამაშობდა ყველაზე უფრო კორექტულად ბოლო მსოფლიო ჩემპიონატში? ჯილდო — „ფეირ პლეი" მიმომხილველთა უმრავლესობამ მიაკუთვნა პოლონეთის ნაკრებს. მეორე ადგილზე არიან ჰოლანდიელები.

● ●

შნელინგერი დაბრუნდა

მსოფლიოს 4 ჩემპიონატის (1958-1970 წ.წ.) მონაწილე, ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი შნელინგერი, რომელიც კარგა ხანს იტალიის „მილანში" თამაშობდა, სამშობლოში დაბრუნდა.

შნელინგერმა (იგი 35 წლისაა) კონტრაქტს მოაწერა ხელი „ბუნდესლიგის" ახალ კლუბ „ტენის-ბორუსიასთან" (დას. ბერლინი). თავისი ასაკის მიუხედავად, შნელინგერი კარგ ფორმაშია.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.